ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2892778

ნომერი: AR1446346

თარიღი : 04.10.2016

გაცემის თარიღი : 25.10.2016

გაცნობის თარიღი : 25.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 59 / ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 41სა და N59-ს შორის, , ქუჩა კოსტავას N59 , ქუჩა კოსტავას 41/ბოცვაძე (ყოფ.ადლერი) N2. ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 59 / ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 41სა და N59-ს შორის, , ქუჩა კოსტავას N59 , ქუჩა კოსტავას 41/ბოცვაძე (ყოფ.ადლერი) N2. ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო გულდამაშვილი პ/ნ 01011086354
- თბილისი ვაზისუბნის III მ/რ II კვ. კორ. 15 ბ. 76

ორგანიზაცია:
- შპს გრანატ კოდი: 405068000

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- მიშენება ან მიშენება - დაშენება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ელგუჯა ცინცაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N59/კოსტავას ქ. N41-სა და N59-ს შორის, კოსტავას ქ. N59, კოსტავას ქ. N41/ბოცვაძის ქ. N2-ში სასტუმროს ესკიზის წინასწარ შეთანხმებას.

განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N39, 06.10.16წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N59/კოსტავას ქ. N41-სა და N59-ს შორის, კოსტავას ქ. N59, კოსტავას ქ. N41/ბოცვაძის ქ. N2-ში სასტუმროს ესკიზს შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით: არსებული შენობის მთელი მოცულობა გადაწყდეს ერთ ფერში, დამუშავდეს გვერდითი ფასადი ბოცვაძის მხრიდან თანამედროვე გადაწყვეტით, სასტუმროში ავტობუსით სტუმრების მიყვანა განხორციელდეს სასტუმროს ტერიტორიის გამოყენებით.

- შენიშვნა:

1. გაცნობებთ, რომ ესკიზის წინასწარი შეთანხმებისას სამსახური განიხილავს ფოტომონტაჟის მიხედვით განსახორციელებელი მშენებლობის მხოლოდ ქალაქგეგმარებით შესაბამისობას არსებულ განაშენიანებასთან. კერძოდ, შენობის ვიზუალური მხარე შეესაბამება თუ არა არსებულ განაშენიანებას,ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს. ხოლო, სხვა საკითხების შესწავლა, რაც, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, ესკიზის წინასწარი შეთანხმების დროს არ ხდება.

2. ზემოთქმულიდან გამომდინარე, არასასურველი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, გეძლევათ რეკომენდაცია, საჭირო დოკუმენტების/პროექტების სრულად დამუშავებამდე შესწავლილი იქნას განსახორციელებელი/საპროექტო სამშენებლო სამუშაოების თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4–13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის მე–15 მე–16 34–ე 35–ე მუხლებთან და სხვა წესებთან/ნორმებთან შესაბამისობა.

- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დარღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.